



PRIME CONCRETE

შპს „პრაიმ ბეტონი“

ბარისახო-შატილის არსებული გზის (52-63 კმ) 11 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისთვის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა

სკრინინგის ანგარიში

ქ. თბილისი, 2019 წელი

შესავალი

შპს „პრაიმ ბეტონი“ საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2010 წლიდან. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი, ლიცენზირებული კარიერებიდან, შემგები მასალის, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მისი გადამამუშავება. კომპანიას ასევე გააჩნია მზა ბეტონის წარმოების ფართო არჩევანი სრული სერვისის ჩათვლით, რაც მოიცავს მასალების მომხმარებლისთვის მიწოდებას ტრანსპორტირებითა და სრული ლაბორატორიული მომსახურების გაწევით. გარდა ამისა, კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

შპს „პრაიმ ბეტონი“ ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებით და სამშენებლო მასალების წარმოების, მიწოდებისა და შემოწმების ხარისხის მართვის სისტემისთვის მინიჭებული აქვს ISO 9001:2008 სერტიფიკატი.

ამ ეტაპზე, კომპანია გეგმავს „თელავის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია ლოტი I ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 52+350 - კმ 63+400 (პკ 0+00-პკ110+50) რეაბილიტაციის პროექტის“ ფარგლებში ბარისახო-შატილის არსებული გზის (52-63 კმ) 11 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად კომპანიას დაგეგმილი აქვს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, კერძოდ კი დუშეთის რაიონ სოფ. თხილნარში სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ კი ქვიშა-ხრემის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახალი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) დანადგარის მოწყობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს პრაიმ ბეტონი
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი #1
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	215148551
კომპანიის ხელმძღვანელი	ალექსანდრე სოკოლოვსკი
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	დუშეთის რაიონი, სოფ. თხილნარი

1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა


შპს „პრაიმ ბეტონი“ გეგმავს ქვიშა ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მონტაჟს დუშეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი სოფ. თხილნარის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მიწის ფართობი, სადაც დაგეგმილია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა წარმოადგენს ლიცენზირებულ ობიექტს. შპს „პრაიმ ბეტონზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 8 ივლისის #916/ს ბრძანების საფუძველზე გაიცა სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ კი, მდ. ფშავის არაგვის ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზია (#10000838; 08.07.2019), 3 წლის ვადით. ლიცენზირებული ტერიტორიის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	496029.401	4697143.643
2	496287.420	4697066.190
3	496390.987	4697058.445
4	496424.541	4697038.048
5	496425.292	4697022.632
6	496096.000	4697059.000

როგორც უკვე აღინიშნა, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი განთავსდება სალიცენზიო ფართში და გამოყენებული იქნება დაახლოებით 300მ² ტერიტორია. უშუალოდ დანადგარის განთავსების ადგილის კოორდინატებია:

N	X	Y
1	496409,470	4697047,209
2	496424,541	4697038,048
3	496425,292	4697022,632
4	496408,048	4697024,537



სურ.#1 - ლიცენზირებული ტერიტორია საპროექტო ტერიტორიის ჩვენებით

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, დაშორებულია დაახლოებით 1,5 კმ მანძილით.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

ნიადაგის საფარი ნაყოფიერი ფენით არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა საჭირო არ არის.

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გრუნტის გზები.

1.2 საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები და წარმოებული პროდუქცია

საწარმო, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში გადაამუშავებს 100მ³ ბალასტს საათში. იგი, რეგიონის მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე იმუშავებს წელიწადში მხოლოდ 200 დღეს, დღეში 8 საათიანი რეჟიმით. აქედან გამომდინარე საწარმო წლის განმავლობაში გამოუმშავებს 160 000მ³ ბუნებრივ რესურსს.

1.3 საწარმოს მიერ წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

საწარმო იმუშავებს დიზელის საწვავზე და საათში მოიხმარს 70 ლ საწვავს. საწვავის შემოტანას პერიოდულად, და მის მართვას ობიექტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კერძოდ კი, კომპანია საწარმოს ტერიტორიაზე განათავსებს მცირე ზომის მიწისქვეშა ავზს და საწარმოს ტექნიკურ მოწყობილობებში საწვავის მიწოდება მოხდება სპეციალური ავტომატის საშუალებით. საწვავის ავტომატის განთავსების ადგილი იქნება მოშანდაკებული და სპეციალურად გადახურული, რათა არ მოხდეს სანიაღვრე წყლების მოხვედრა უბანზე. მიღებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები ავარიული დაღვრის თავიდან აცილების მიზნით. საწარმო ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სპეციალური ურნები, რომელიც განკუთვნილი იქნება სახიფათო ნარჩენებისთვის და მათ შორის საწვავით დაბინძურებული ნიადაგისა და თხევადი მასალებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სახიფათო ნარჩენები ობიექტის ტერიტორიიდან გატანილი იქნება სპეციალური ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ მათთან წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიურად მოხდება სასარგებლო წიაღისეულის სველი წესით გადამუშავება, საწარმო წელიწადში 256 000 მ³ წყალს მოიხმარს, რომლის ალბაც მოხდება მდ. ფშავის არაგვიდან.

2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

დანადგარი აღჭურვილია ინერტული მასალების სამსხვრევი და დამახარისხებელი დანადგარების სათანადო სრული კომპლექტაციით. იგი შედგება შემდეგი ძირითადი დეტალებისა და კვანძებისაგან: მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი, დამახარისხებელი დანადგარი, ქვიშის სარეცხი დანადგარი და ლენტური ტრანსპორტიორი.

საწარმოს მუშაობის ციკლის აღწერა:

1. დანადგარის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული კარიერიდან ბალასტის შემოტანა ავტოთვიტმცლელებით;
2. ბალასტის მიწოდება მიმღებ ბუნკერში;
3. ბუნკერიდან მასალის გადატანა ჰორიზონტალურ საცერში;
4. საცრიდან ქვიშის მიწოდება გამრეცხ დანადგარში;
5. საცრიდან ქვიშა გამოცლილი მასის გადატანა სამსხვრევ დანადგარში;
6. სამსხვრევი დანადგარიდან დამსხვრეული მასალის გადაადგილება ჰორიზონტალურ საცერზე, გარეცხვა და დახარისხება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად.

2.1 წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

საწარმო ბალასტს გადაამუშავებს სველი მეთოდით. პროცესის უზრუნველყოფის მიზნით წყლის ალბა, როგორც უკვე აღინიშნა მოხდება მდინარე ფშავის არაგვიდან. სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის ტერიტორიაზე მოეწყობა ორკამერიანი სალექარი. სალექარში გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდ. ფშავის არაგვში.

საწარმო 1 საათის განმავლობაში მოიხმარს 160მ³ წყალს. მისი მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე (წელიწადში 200 დღე, დღეში 8 საათი), წლის განმავლობაში მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობა იქნება:

$$160 \times 8 \times 200 = 256\ 000 \text{ მ}^3$$

რაც შეეხება ჩამდინარე წყალს, ბუნებრივი რესურსის რეცხვის შედეგად წყლის დანაკარგი სავარაუდოდ 10%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, წლის გამავლობაში მდ. ფშავის არაგვში, საწარმოდან, შესაბამისი სალექარების გავლის შემდეგ მოხვდება 230 000 მ³ გაწმენდილი წყალი.

ობიექტის ტერიტორიაზე პერსონალისათვის მოეწყობა ტულეტი, რომლისთვისაც მოხდება საკანალიზაციო ჭის მოწყობა. ჭაში დაგროვილი საკანალიზაციო ფეკალური მასების გატანა მოხდება საასენიზაციო მანქანების საშუალებით.

2.2 ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

სახიფათო ნარჩენები. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა არ მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. თუმცა ობიექტის ტერიტორიაზე განთავსდება სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი ჰერმეტიკული კონტეინერი. სახიფათო ნარჩენის წარმოამნის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

არასახიფათო ნარჩენები. საწარმოში, საწარმოო წყლის სალექარში გაწმენდის შედეგად მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობით ლამის წარმოქმნა, რომელიც დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და პერიოდულად გამოყენებული იქნება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებში.

3. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს: არაორგანული მტვერი. იქიდან გამომდინარე რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხდება სველი მეთოდით, მტვრის გამოყოფა მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული. გარდა ამისა, დანადგარი აღჭურვილია ევროპული სტანდარტის მქონე მტვერდამჭერი მოწყობილობით, ციკლონით, რომელიც უზრუნველყოფს არაორგანული მტვრის მაქსიმალურ დაჭერას.

აქედან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საწარმოს, მოსახლეობიდან საკმაოდ დიდი მანძილით დაშორება.

3.1 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.).

საწარმოს განთავსების ადგილისა და მისგან მოსახლეობის დაშორების გათვალისწინებით ხმაურის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდე შემცირებული.

3.2 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

საწარმოს ფუნქციონირებისას ნიადაგზე შესაძლო ზემოქმედება შესაძლებელია გამოიწვიოს: -

- ტექნიკის ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიულმა დაღვრამ/გაჟონვამ;

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართვა (მათ შორის ზეთის შეცვლა) ობიექტის ტერიტორიაზე არ წარმოებს.

ობიექტის ტერიტორიაზე რისკების შემცირების მიზნით განხორციელდება ტექნიკისა და ტრანსპორტის მუშაობის პროცესის მეთვალყურეობა და დაუყოვნებლივი რეაგირება დარღვევებზე.

3.3 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საპროექტო არეალიდან, უახლოესი დაცული ტერიტორია ყაზბეგის ეროვნული პარკი დაშორებულია დაახლოებით 15-20 კმ მანძილით. შესაბამისად პროექტის დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მინიმუმამდე შემცირებული.


3.4 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.5 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო თავისი ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

დანართი 1 - საწარმოს სქემატური სურათი





საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქარო საგარეო მართლის ევროპული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10000838

201 9 წლის „ 08 “ „ ივლისი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია _____ შპს „კრაიმ ბიტუმ“-ში, ს/ნ 215 148 551;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: _____
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 08 ივლისის №916/ს
ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: _____

ღუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თხილიანის მიმდებარე ტერიტორიაზე,
მდ. უშავის არაგვის ქვიშა-ხრების გამოვლინება;
K-38-76-A-a ნომენკლატურის ტოპოგრაფიკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და საშობო მონაკვეთების უარყოფი - 14 980 კვ. მეტრი.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

მლ. შპავის არაბვის ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულება - 44 940 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები: _____

**ბანსაფორულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 08
ივლისის №916/ს ბრძანებით.**

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 3 წელი, 08.07.2019 დან 09.07.2022 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი



გაცევაში ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.

ქ. ზინაიძე

(ზელმოწერა)

ბ.ა



დამკვეთი: სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქქერა“
სესხ რეგისტრაციის № 24-5288



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020148025207319

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 916/ს

08 / ივლისი / 2019 წ.

**შპს „პრაიმ ბეტონი“-ზე (ს/ნ 215148551) სახარგებლო წიალისეულის მოპოვების
 ლიცენზიის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, „სასარგებლო წიალისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2019 წლის 31 მაისის №737/ს ბრძანებების, 2019 წლის პირველი ივლისის ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად მე-7 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „პრაიმ ბეტონი“ (განაცხადის №309CT11719), ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა 44 940 მ³, ლიცენზიის მოქმედების ვადა 3 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 37623.30 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიალის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „პრაიმ ბეტონი“-ზე (ს/ნ 215148551) დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თბილიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ფშავის არაგვის ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით სახარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზია 3 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ა) დაუნესდეს მიწისა და სამო მინაკუთვნი (ფართობი 14980 მ²) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;
- ბ) ქვიშა-ხრეშის (P კატეგორია) ჯამური მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განსაზღვროს 44 940 მ³-ის ოდენობით;
- გ) სახარგებლო წიალისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;
- დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორებაშედეგების მიმართულებით;
- ე) გეოდეზიკური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მეტრს;
- ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო სატყეუნიჭებო დანესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 14 მაისის №2-03/5947 წერილით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა;
- ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სახარგებლო წიალისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სახარგებლო წიალისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს ნიალისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების განერება და დგომა;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

კ) ექსპლუატაციისას შენყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს საშუალების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ლ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

მ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - ნიალით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, ნიალით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, ნიალით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და ნიალისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს ნიალით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

თ) ლიცენზიის მფლობელმა ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;


პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ბრძანების ნაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო ნიალისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ჟ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „ნიალის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ამასთან, „ნიალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნიალით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - ნიალის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო ნიალისეულის მართვის დეპარტამენტის № 1058, 08.05.2019 წ. (ID_48211) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოზაინფორმაციო ბაზის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.
3. ბრძანება გასაწყობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით განცხადების დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, ხანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ ნიალის ეროვნული სააგენტოს უფროსი



მაია ზავრაშვილი

დანართი 3 - ტოპოგრაფიული რუკა

